

**სახელმწიფო შესყიდვების შესახებ  
ხელშეკრულება №ეტ-23/19**

ქ. ზუგდიდი

**ხელშეკრულების დამდები მხარეები**

შპს „ენგურჰესი“, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. №8, ფაქ. მდებარეობა: გალის რ-ნი, დას. საბერიო (საფ/მის: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 90, მე-2 სართული, ენგურჰესის ოფისი), შემდგომში „შემსყიდველად“ წოდებული, მისი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის – ლევან მეზონიას სახით, რომელიც მოქმედებს კომპანიის წესდების შესაბამისად ერთის მხრივ და

შპს „მშენსერვისი 2002“, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, გლდანი, ქერჩის ქ. №3, შემდგომში „მიმწოდებლად“ წოდებული, მისი დირექტორის - ლუდმილა გვაგვალას სახით, რომელიც ასევე მოქმედებს კომპანიის წესდების შესაბამისად მეორეს მხრივ, შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის – SPA190003421 საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები**

- 1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში-„ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
- 1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“- კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5 „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6 „სამშენებლო სამუშაო“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

**2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი**

- 2.1 შესყიდვის ობიექტია:
  - შპს "ენგურჰესი"-ს ბალანსზე რიცხული ოთხი კოტეჯის გადახურვა.ხელშეკრულებას თან ერთვის ხარჯთაღრიცხვა, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- 2.2 კლასიფიკატორის კოდია: 45261000, 45261210;

**3. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების პირობები**

- 3.1 სახელშეკრულებო თანხა შეადგენს: 48781 (ორმოცდარვა ათას შვიდასოთხმოცდაერთი) ლარს დღგ-ს ჩათვლით;
- 3.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში – ლარებში.
- 3.3 შემსყიდველი მიმწოდებელს (მოთხოვნის შემთხვევაში) ავანსის სახით გადაუხდის წინასწარ შეთანხმებული ოდენობის თანხას, მაგრამ არაუმეტეს სახელშეკრულებო თანხის 30%-ისა, მიმწოდებლის მიერ ამავე ოდენობის თანხაზე საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 5 (ხუთ) სამუშაო დღეში;
- 3.4 ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, შესრულებულ სამუშაოზე ინსპექტირების ჯგუფის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის შედგენისა და ფინანსური დოკუმენტაციის წარდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში;
- 3.5 საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება ინსპექტირების ჯგუფის მიერ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის შედგენისა და ფინანსური დოკუმენტაციის წარდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში.
- 3.6 გაუთვალისწინებელი თანხების ათვისების პირობების დადგომის შემთხვევაში მხარეები აფორმებენ დამატებით შეთანხმებას შესაბამის დოკუმენტებთან ერთად (დამატებით ჩასატარებელი სამუშაოების სადეფექტო აქტი, სამუშაოთა მოცულობა და ხარჯთაღრიცხვა).

#### 4. სამუშაოს შესრულების ადგილი, ვადები და პირობები

4.1 სამუშაოების შესრულების ადგილია: აფხაზეთი, გალის რ-ნი, დას. საბერიო.

4.2 სამუშაოების შესრულების ვადაა: 60 (სამოცი) კალენდარული დღე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების დღიდან.

4.3 მიმწოდებელს უფლება აქვს სამუშაოები შეასრულოს განსაზღვრულ ვადაზე ადრე.

#### 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 ეტაპობრივად შესრულებული სამუშაოების მიღება ხდება ინსპექტირების ჯგუფის მიერ შესრულებულ სამუშაოებზე შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირი.

5.2 შესრულებულ სამუშაოებზე საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი დგება ტენდერის პირობებით გათვალისწინებული მოცულობის სრულად შესრულების შემდეგ, რომელსაც ასევე ამტკიცებს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირი.

5.3 მიმწოდებელმა როგორც ეტაპობრივ, ასევე საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტს თან უნდა დაურთოს ფარული სამუშაოების აქტები, ხოლო სამუშაოების დამთავრების შემდეგ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად უნდა წარმოადგინოს საბოლოო ფორმა N2.

5.4 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის შედგენა-ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირებია:

შპს „ენგურჰესის“ ტექნიკური დირექტორი - გ. ხუბუა, ჯგუფის ხელმძღვანელი;

შპს „ენგურჰესის“ რემონტების მენეჯერი - ი.შონია;

შპს „ენგურჰესის“ კომუნალური განყოფილების უფროსი - ს. კვირკველია;

#### 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 "მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:

- მკაცრად დაიცვას სამუშაოს დამთავრების სახელშეკრულებო ვადები, უზრუნველყოს ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება;

- მკაცრად დაიცვას უსაფრთხოების ტექნიკის წესები;

- სამუშაო შეასრულოს საკუთარი მასალებით, სამუშაო იარაღებითა და სამარჯვებით.

- „მიმწოდებლის“ მხრიდან პასუხისმგებელი პირი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოახსენოს "შემსყიდველის" წარმომადგენელს, ჯგუფის უფროსს ან მისი არყოფნის პერიოდში ნებისმიერ წევრს სამუშაოს შესრულებისას წამოჭრილი პრობლემების შესახებ.

6.2 "შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:

- უზრუნველყოს სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში გამოვლენილი პრობლემების გონივრულ ვადაში გადაწყვეტა.

- სამუშაოების დასრულების შემდეგ დროულად აუნაზღაუროს "მიმწოდებელს" შესრულებული სამუშაოს საფასური.

6.3 სამუშაოს დაწყებამდე მხარეები იძლევიან წერილობით ინფორმაციას მათი მხრიდან სამუშაოს წარმოებასა ("მიმწოდებელი") და ზედამხედველობაზე ("შემსყიდველი") პასუხისმგებელი პირების დანიშვნის შესახებ.

#### 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

7.2 ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

შპს „ენგურჰესის“ ტექნიკური დირექტორი - გ. ხუბუა, ჯგუფის ხელმძღვანელი;

შპს „ენგურჰესის“ რემონტების მენეჯერი - ი.შონია;

შპს „ენგურჰესის“ კომუნალური განყოფილების უფროსი - ს. კვირკველია;

#### 8. გარანტია

8.1 შესრულებული სამუშაოების საგარანტო ვადაა 3 წელი, დაზიანების თაობაზე შეტყობინების მიღებიდან რეაგირება 24 საათის განმავლობაში, აღდგენა: დაზიანების სირთულიდან გამომდინარე გონივრულ ვადებში მიმწოდებლის მიერ დამატებითი ანაზღაურების გარეშე.

8.2 საგარანტიო პერიოდი არ ეხება ფორსმაჟორული და მექანიკური ზემოქმედებით მომხდარ დაზიანებებს.

## 9. საავანსო საბანკო გარანტია

9.1 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების ღირებულების 30%-ის ოდენობის საავანსო საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების 4.2 პუნქტით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების ვადას 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით.

9.2 შემსყიდველის მიერ წარმოდგენილი საავანსო საბანკო გარანტიის თანხის გათავისუფლება განხორციელდება ეტაპობრივად, საავანსო საბანკო გარანტიისა და შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტის პროპორციულად, გარდა საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტისა, ამ შემთხვევაში ხდება საბანკო გარანტიის სრულად გათავისუფლება, რის შემდეგაც გარანტიის დაბრუნება განხორციელდება მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

9.3 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების ღირებულების საავანსო საბანკო გარანტია, შემსყიდველის მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებას საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გასვლამდე.

## 10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისას

10.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შეუსრულებლობისთვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

10.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

10.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ნორმები.

10.5 შემსყიდველი უფლებამოსილია შესასრულებელი სამუშაოების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0.02 პროცენტის ოდენობით.

10.6 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გადაუხდელი თანხის 0.02 პროცენტის ოდენობით.

10.7 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

## 11. ხელშეკრულების პირობებისა და ფასების გადასინჯვა

11.1. ყველა დამატება ან შესწორება ამ ხელშეკრულების ირგვლივ ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ხელმოწერილი და დადასტურებულია ორივე მხარის მიერ.

11.2. მხარეებს შეუძლიათ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება თუ მეორე მხარე ან არ ან ვერ ასრულებს სახელშეკრულებო პირობებს. შეწყვეტის შესახებ მხარეები ატყობინებენ ერთმანეთს დაუყოვნებლივ მიზეზების ჩვენებით. ხელშეკრულების შეწყვეტამ არ უნდა გამოიწვიოს რომელიმე მხარის უფლებების შელახვა.

11.3. ფასთა ცვლილება განიხილება სამუშაოთა მოცულობაში ცვლილებების ან/და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, მაგრამ არა უმეტეს სახელშეკრულებო თანხის 10%-ისა.

## 12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა

გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

12.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

### 13. ფორს-მაჟორი

13.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ.

13.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება დამატებითი კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

13.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

### 14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულებაზე ბოლო კვალიფიციური ელექტრონული ხელისმოწერის/შტამპის განთავსების დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 10 ნოემბრის ჩათვლით.

### 16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

"შემსყიდველი"  
შპს "ენგურჰესი"  
ს/კ 251716371  
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი,  
ა. პოლიტკოვსკაიას ქ. №8  
სს „ვი თი ბი ბანკი ჯორჯია“  
ბ/კ UGEBGE22  
ა/ა GE97VT660000003403403

დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

ლ. მეზონია

"მიმწოდებელი"  
შპს „მშენსერვისი 2002“  
ს/კ 200076210  
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი,  
გლდანის ქ. №3  
სს „თიბისი ბანკი“  
ბ/კ TBCBGE22  
ა/ა GE40TB7413036050100001

დირექტორი

ლ. გვაგვალაია

შპს "ენგურჰესი"-ს ბალანსზე რიცხული ოთხი კოტეჯის გადახურვის  
ხარჯთაღრიცხვა

№	ნორმატივის ნომერი და შიფრი	სამუშაოებისა და დანახარჯების დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა		ღირებულება (ლარი)						
				ნორმატივით ერთეულზე	საპროექტო მონაცემებით	ხელფასი		მასალები		ტრანსპორტი		ჯამი
						ერთეული	სულ	ერთეული	სულ	ერთეული	სულ	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
<b>I კოტეჯი (# 100)</b>												
1	46-28-1	კოტეჯის არსებული აზბესტოციემენტის სახურავისა დემონტაჟი	100 მ <sup>2</sup>		2,13							
		შრომითი დანახარჯი	კვ/სთ	51,5	109,695	3,2	351,02					351,02
		სხვა მანქანები	ლარი	3,8	8,09					3,10	25,09	25,09
2	რ 25-8-15	კოტეჯის არსებული ხის კონსტრუქციების დემონტაჟი	მ <sup>3</sup>		3,78							
		შრომითი დანახარჯი	კვ/სთ	10,2	39	3,2	123,38					123,38
		სხვა მანქანები	ლარი	0,23	0,9					3,10	2,70	2,70
3	46-19-4	პერფორაცია დამჭერი გლინულისა და დუბელების მოსაწყობად (ბიჯი 1000 მმ.)	100 ც		1,17							
		შრომითი დანახარჯი კ-1.75	კვ/სთ	33,600	39,3	4,80	188,70					188,70
		სხვა მანქანები	ლარი	16,625	19,5					3,10	60,30	60,30
4	10-11	სახურავის მოლარტყვა	მ <sup>3</sup>		4							
		შრომითი დანახარჯი	კვ/სთ	25,2	95	4,8	457,23					457,23
		სხვა მანქანები	ლარი	5,34	20					3,10	62,57	62,57
	სრგ. 5.1-22	ხის ძელი 60X50	მ <sup>3</sup>		2			430,00	1 023,40			1023,40
	სრგ. 5.1-22	ხის ფიცარი 200*50მმ	მ <sup>3</sup>		1			430,00	602,00			602,00
	სრგ. 1.10-1	ლურსმანი	კვ.	17,7	67			3,30	220,79			220,79
		სხვა მასალა	ლარი	5,28	20,0					3,10	61,87	61,87
5	12-8-5	პროფილირებული თუნუქის სახურავის მოწყობა	100მ <sup>2</sup>		2,130							
		შრომითი დანახარჯი	კვ/სთ	83	177	6,5	1149,14					1149,14
		სხვა მანქანები	ლარი	0,41	0,9					3,10	2,71	2,71

	სრფ. 1.5-15	პროფილირებული თუნუქის ფურცელი სისქით 0.5 მმ. (შეღებილი)	მ <sup>2</sup>	122	259,9			13,00	3 378,70			3378,70
	სრფ. 1.10-26	სჭვალა	კმ.	5	10,65			2,99	31,84			31,84
		სხვა მასალა	ლარი	7,8	16,6					3,10	51,50	51,50
6	12-8-5	კეხის მოწყობა თუნუქით	100მ <sup>2</sup>		0,14							
		შრომითი დანახარჯი	კვ/სთ	83	12	6,5	75,53					75,53
		სხვა მანქანები	ლარი	0,41	0,1					3,10	0,18	0,18
	სრფ. 1.5-15	თუნუქის ფურცელი სისქით 0.5 მმ. (შეღებილი)	მ <sup>2</sup>	122	17,1			11,50	196,65			196,65
	სრფ. 1.10-26	სჭვალა	კმ.	5	0,70			2,99	2,09			2,09
		სხვა მასალა	ლარი	7,8	1,1					3,10	3,39	3,39
7	10-3-5	შეფიცვრა სისქით 16 მმ.	100მ <sup>2</sup>		0,430							
		შრომითი დანახარჯი	კვ/სთ	72,5	31	4,8	149,64					149,64
		სხვა მანქანები	ლარი	3,57	1,5					3,10	4,76	4,76
	სრფ. 5.1-153	ფიცარი შეფიცვრის სისქით 16 მმ.	მ <sup>2</sup>	122	52,5			11,90	624,27			624,27
	სრფ. 5.1-22	ხის ძელი 60X50 მმ.	მ <sup>3</sup>		0,3			430,00	129,00			129,00
	სრფ. 1.10-1	ლურსმანი	კმ.	5	2,2			3,30	7,10			7,10
		სხვა მასალა	ლარი	3,28	1,4					3,10	4,37	4,37
8	15-159-2	შეფიცვრის შეღებვა ზეთოვანი საღებავით ორჯერ	100მ <sup>2</sup>		0,430							
		შრომითი დანახარჯი	კვ/სთ	68,8	30	4,8	142,00					142,00
		სხვა მანქანები	ლარი	1,15	0,5					3,10	1,53	1,53
	სრფ. 4.2-70	კოლორი ზეთოვანი საღებავის	კმ.	28,9	12,43			4,90	60,89			60,89
	სრფ. 4.2-107	საგრუნტი ხის	კმ.	41	17,6			11,90	209,80			209,80
	სრფ. 4.2-16	საღებავი ზეთოვანი	კმ.	30	12,90			5,80	74,82			74,82
	სრფ. 4.2-16	ოლიფა	კმ.	10	4,30			4,95	21,29			21,29
		სხვა მასალა	ლარი	0,7	0,3					3,10	0,93	0,93
9	საბაზრო	სამშენებლო ნაგვის გატანა დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	ტ		3,33							
		შრომითი დანახარჯი	კვ/სთ		3,33	5,0	16,65					16,65
10	სრფ.14-10	სამშენებლო ნაგვის გატანა 10 კმ.-ზე	ტ		3,33					5,00	16,65	16,65
პირდაპირი ხარჯების ჯამი								2653,3	6582,6		298,6	9534,48

სატრანსპორტო ხარჯები შიდა გადაზიდვებზე მასალიდან				5,0%					329,1			329,13
ჯამი												9863,61
ზედნადები ხარჯები				4,0%								394,54
ჯამი												10258,16
გეგმიური დაგროვება				4,0%								410,33
ჯამი												10668,48
				II კოტეჯი ( #101)								
1	46-28-1	კოტეჯის არსებული აზბესტოციემენტის სახურავისა დემონტაჟი	100 მ <sup>2</sup>		2,24							
		შრომითი დანახარჯი	კვ/სთ	51,5	115,36	3,2	369,15					369,15
		სხვა მანქანები	ლარი	3,8	8,51				3,10	26,39		26,39
2	რ 25-8-15	კოტეჯის არსებული ხის კონსტრუქციების დემონტაჟი	მ <sup>3</sup>		4,00							
		შრომითი დანახარჯი	კვ/სთ	10,2	41	3,2	130,56					130,56
		სხვა მანქანები	ლარი	0,23	0,9				3,10	2,85		2,85
3	46-19-4	პერფორაცია დამჭერი გლინულისა და დუბლელების მოსაწყობად (ბიჯი 1000 მმ.)	100 ც		1,00							
		შრომითი დანახარჯი კ-1.75	კვ/სთ	33,6	34	4,8	161,28					161,28
		სხვა მანქანები	ლარი	16,625	16,6				3,10	51,54		51,54
4	10-36-6	სახურავის მოლარტყვა	მ <sup>3</sup>		4,000							
		შრომითი დანახარჯი	კვ/სთ	25,2	101	4,8	483,84					483,84
		სხვა მანქანები	ლარი	5,34	21,4				3,10	66,22		66,22
	სრფ. 5.1-22	ხის ძელი 60X50 მმ.	მ <sup>3</sup>		3		430,00	1 083,60				1083,60
	სრფ. 5.1-22	ხის ფიცარი 200X50 მმ. 96 გრძ/მ	მ <sup>3</sup>		1		430,00	636,40				636,40
	სრფ. 1.10-1	ლურსმანი	კვ.	17,7	71		3,30	233,64				233,64
		სხვა მასალა	ლარი	5,28	21				3,10	65,47		65,47
5	12-8-5	პროფილირებული თუნუქის სახურავის მოწყობა	100მ <sup>2</sup>		2,240							
		შრომითი დანახარჯი	კვ/სთ	83	186	6,5	1208,48					1208,48
		სხვა მანქანები	ლარი	0,41	0,9				3,10	2,85		2,85
	სრფ. 1.5-15	პროფილირებული თუნუქის ფურცელი სისქით 0.5 მმ. (შედებილი)	მ <sup>2</sup>	122	273,3			13,00	3 552,90			3552,90
	სრფ.1.10-26	სჭვალი	კვ.	5	11,20			2,99	33,49			33,49
		სხვა მასალა	ლარი	7,8	17,5				3,10	54,16		54,16
6	12-8-5	კეხის მოწყობა თუნუქით	100მ <sup>2</sup>		0,20							

		შრომითი დანახარჯი	კვ/სთ	83	17	6,5	107,90				107,90
		სხვა მანქანები	ლარი	0,41	0,1				3,10	0,25	0,25
	სრფ. 1.5-15	თუნუქის ფურცელი სისქით 0.5 მმ. (შეღებილი)	მ <sup>2</sup>	122	24,4			11,50	280,60		280,60
	სრფ. 1.10-26	სჭვალი	კმ.	5	1,00			2,99	2,99		2,99
		სხვა მასალა	ლარი	7,8	1,6				3,10	4,84	4,84
7	10-3-5	შეფიცვრა სისქით 16 მმ.	100მ <sup>2</sup>		0,450						
		შრომითი დანახარჯი	კვ/სთ	72,5	33	4,8	156,60				156,60
		სხვა მანქანები	ლარი	3,57	1,6				3,10	4,98	4,98
	სრფ. 5.1-148	ფიცარი შეფიცვრის სისქით 16 მმ.	მ <sup>2</sup>	122	54,9			11,90	653,31		653,31
	სრფ. 5.1-37	ხის ძელი 60X50 მმ.	მ <sup>3</sup>		0,30			430,00	129,00		129,00
	სრფ. 1.10-1	ლურსმანი	კმ.	5	2,250			3,30	7,43		7,43
		სხვა მასალა	ლარი	3,28	1,5				3,10	4,58	4,58
8	15-159-2	შეფიცვრის შეღებვა ზეთოვანი საღებავით ორჯერ	100მ <sup>2</sup>		0,450						
		შრომითი დანახარჯი	კვ/სთ	68,8	31	4,8	148,61				148,61
		სხვა მანქანები	ლარი	1,15	0,5				3,10	1,60	1,60
	სრფ. 4.2-73	კოლორი ზეთოვანი საღებავის	კმ.	28,9	13,01			4,90	63,72		63,72
	სრფ. 4.2-109	საგრუნტი ხის	კმ.	41	18,5			11,90	219,56		219,56
	სრფ. 4.2-27	საღებავი ზეთოვანი კარ-ფანჯრის (თეთრი)	კმ.	30	13,50			5,80	78,30		78,30
	სრფ. 4.2-16	ოლიფა	კმ.	10	4,50			4,95	22,28		22,28
		სხვა მასალა	ლარი	0,7	0,3				3,10	0,98	0,98
9	საბაზრო	სამშენებლო ნაგვის გატანა დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	ტ		3,52						
		შრომითი დანახარჯი	კვ/სთ		3,52	5,0	17,60				17,60
10		სამშენებლო ნაგვის გატანა 10 კმ.-ზე	ტ		3,52				5,00	17,60	17,60
პირდაპირი ხარჯების ჯამი							2784,0	6997,2	304,3	10085,53	
სატრანსპორტო ხარჯები შიდა გადაზიდვებზე მასალიდან					5,0%			349,9		349,86	
ჯამი										10435,39	
ზედნადები ხარჯები					4,0%					417,42	
ჯამი										10852,81	
გეგმიური დაგროვება					4,0%					434,11	
ჯამი										11286,92	
III კოტეჯი (#49)											



1	46-28-1	კოტეჯის არსებული აზბესტოცემენტის სახურავისა დემონტაჟი	100 მ <sup>2</sup>		1,75							
		შრომითი დანახარჯი	კვ/სთ	51,5	90,125	3,2	288,40					288,40
		სხვა მანქანები	ლარი	3,8	6,65					3,10	20,62	20,62
2	რ 25-8-15	კოტეჯის არსებული ხის კონსტრუქციების დემონტაჟი	მ <sup>3</sup>		2,73							
		შრომითი დანახარჯი	კვ/სთ	10,2	28	3,2	89,11					89,11
		სხვა მანქანები	ლარი	0,23	0,6					3,10	1,95	1,95
3	46-26-3	კოტეჯის მიშენების ქვეშ არსებული პლასტიკატის ჭერის დემონტაჟი	100მ <sup>2</sup>		0,13							
		შრომითი დანახარჯი	კვ/სთ	25,7	3	3,2	10,28					10,28
		სხვა მანქანები	ლარი	5,82	0,73					3,10	2,26	2,26
4	46-19-4	პერფორაცია დამჭერი გლინულისა და დუბელების მოსაწყობად (ბიჯი 1000 მმ.)	100 ც		0,95							
		შრომითი დანახარჯი კ-1.75	კვ/სთ	33,6	32	4,8	153,22					153,22
		სხვა მანქანები	ლარი	16,625	15,8					3,10	48,96	48,96
5	10-36-6	სახურავის მოლარტყვა	მ <sup>3</sup>		2,730							
		შრომითი დანახარჯი	კვ/სთ	25,2	69	4,8	330,22					330,22
		სხვა მანქანები	ლარი	5,34	14,6					3,10	45,19	45,19
	სრფ. 5.1-22	ხის ძელი 60X50 მმ.	მ <sup>3</sup>		2			430,00	778,30			778,30
	სრფ. 5.1-22	ხის ფიცარი 200X50 მმ.	მ <sup>3</sup>		1			430,00	395,60			395,60
	სრფ. 1.10-1	ლურსმანი	კვ.	17,7	48			3,30	159,46			159,46
		სხვა მასალა	ლარი	5,28	14,4					3,10	44,68	44,68
6	12-8-5	პროფილირებული თუნუქის სახურავის მოწყობა	100მ <sup>2</sup>		1,750							
		შრომითი დანახარჯი	კვ/სთ	83	145	6,5	944,13					944,13
		სხვა მანქანები	ლარი	0,41	0,7					3,10	2,22	2,22
	სრფ. 1.5-15	პროფილირებული თუნუქის ფურცელი სისქით 0.5 მმ. (შედებილი)	მ <sup>2</sup>	122	213,5			13,00	2 775,50			2775,50
	სრფ. 1.10-26	სჭვალი	კვ.	5	8,75			2,99	26,16			26,16
		სხვა მასალა	ლარი	7,8	13,7					3,10	42,32	42,32
7	12-8-5	კეხის მოწყობა თუნუქით	100მ <sup>2</sup>		0,07							
		შრომითი დანახარჯი	კვ/სთ	83	6	6,5	37,77					37,77
		სხვა მანქანები	ლარი	0,41	0,0					3,10	0,09	0,09

	სრფ. 1.5-15	თუნუქის ფურცელი სისქით 0.5 მმ. (შელებილი)	მ <sup>2</sup>	122	8,5			11,50	98,21			98,21
	სრფ. 1.10-26	სჭვალა	კგ.	5	0,35			2,99	1,05			1,05
		სხვა მასალა	ლარი	7,8	0,5					3,10	1,69	1,69
8	10-3-5	შეფიცვრა სისქით 16 მმ.	100მ <sup>2</sup>		0,385							
		შრომითი დანახარჯი	კვ/სთ	72,5	28	4,8	133,98					133,98
		სხვა მანქანები	ლარი	3,57	1,4					3,10	4,26	4,26
	სრფ. 5.1-148	ფიცარი შეფიცვრის სისქით 16 მმ.	მ <sup>2</sup>	122	47,0			11,90	558,94			558,94
	სრფ. 5.1-22	ხის ძელი 60X50 მმ.	მ <sup>3</sup>		0,30			430,00	129,00			129,00
	სრფ. 1.10-1	ლურსმანი	კგ.	5	1,925			3,30	6,35			6,35
		სხვა მასალა	ლარი	3,28	1,3					3,10	3,91	3,91
9	15-159-2	შეფიცვრის შეღებვა ზეთოვანი საღებავით ორჯერ	100მ <sup>2</sup>		0,385							
		შრომითი დანახარჯი	კვ/სთ	68,8	26	4,8	127,14					127,14
		სხვა მანქანები	ლარი	1,15	0,4					3,10	1,37	1,37
	სრფ. 4.2-70	კოლორი ზეთოვანი საღებავის	კგ.	28,9	11,13			4,90	54,52			54,52
	სრფ. 4.2-107	საგრუნტი ხის	კგ.	41	15,8			11,90	187,84			187,84
	სრფ. 4.2-27	საღებავი ზეთოვანი კარ-ფანჯრის (თეთრი)	კგ.	30	11,55			5,80	66,99			66,99
	სრფ. 4.2-16	ოლიფა	კგ.	10	3,85			4,95	19,06			19,06
		სხვა მასალა	ლარი	0,7	0,3					3,10	0,84	0,84
10	10-56-1	კოტეჯის მიშენების ჭერის მოწყობა პლასტიკატით	100მ <sup>2</sup>		0,125							
		შრომითი დანახარჯი	კვ/სთ	124	16	4,8	74,40					74,40
		სხვა მანქანები	ლარი	4,47	0,6					3,10	1,73	1,73
	სრფ. 10.4-5	შეკიდული ჭერი პლასტმასის	მ <sup>2</sup>	102	13			12,80	163,20			163,20
	სრფ. 10.1-23	თაბაშირ-მუყაოს UD სისქით 0.5 მმ.	გრძ.მ		28,0			0,80	22,40			22,40
	სრფ. 10.1-20	თაბაშირ-მუყაოს CD სისქით 0.5 მმ.	გრძ.მ		117,0			1,38	161,46			161,46
		დუბელი 6X35	ც	4	112,0			0,15	16,80			16,80
		სჭვალა 4.2X13	ც	8	936,0			0,02	18,72			18,72
		საკიდი 40 სმ.-იანი	ც		20,0			0,65	13,00			13,00
		პლასტმასის II-სებრი თამასა	გრძ.მ		30,0			0,85	25,50			25,50
		სხვა მასალა	ლარი	17	2,1					3,10	6,59	6,59

11	საბაზრო	სამშენებლო ნაგვის გატანა დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	ტ		2,51							
		შრომითი დანახარჯი	კვ/სთ		2,5	5,00	12,55					12,55
12		სამშენებლო ნაგვის გატანა 10 კმ.-ზე	ტ		2,51					5,00	12,55	12,55
პირდაპირი ხარჯების ჯამი							2201,2		5678,1	241,2	8120,48	
სატრანსპორტო ხარჯები შიდა გადაზიდვებზე მასალიდან					5,0%				283,9		283,90	
ჯამი											8404,38	
ზედნადები ხარჯები					4,0%						336,18	
ჯამი											8740,56	
გეგმიური დაგროვება					4,0%						349,62	
ჯამი											9090,18	
					IV კოტეჯი ( #58)							
1	46-28-1	კოტეჯის არსებული აზბესტოციემენტის სახურავისა დემონტაჟი	100 მ <sup>2</sup>		1,75							
		შრომითი დანახარჯი	კვ/სთ	51,5	90,125	3,2	288,40					288,40
		სხვა მანქანები	ლარი	3,8	6,65					3,10	20,62	20,62
2	რ 25-8-15	კოტეჯის არსებული ხის კონსტრუქციების დემონტაჟი	მ <sup>3</sup>		2,73							
		შრომითი დანახარჯი	კვ/სთ	10,2	28	3,2	89,11					89,11
		სხვა მანქანები	ლარი	0,23	0,63					3,10	1,95	1,95
3	46-26-3	კოტეჯის მიშენების ქვეშ არსებული პლასტიკატის ჭერის დემონტაჟი	100მ <sup>2</sup>		0,125							
		შრომითი დანახარჯი	კვ/სთ	25,7	3	3,2	10,28					10,28
		სხვა მანქანები	ლარი	5,82	0,73					3,10	2,26	2,26
4	46-19-4	პერფორაცია დამჭერი გლინულისა და დუბელეების მოსაწყობად (ზიჯი 1000 მმ.)	100 ც		0,95							
		შრომითი დანახარჯი კ-1.75	კვ/სთ	33,6	32	4,8	153,22					153,22
		სხვა მანქანები	ლარი	16,625	15,8					3,10	48,96	48,96
5	10-36-6	სახურავის მოლარტყვა	მ <sup>3</sup>		2,730							
		შრომითი დანახარჯი	კვ/სთ	25,2	69	4,8	330,22					330,22
		სხვა მანქანები	ლარი	5,34	15					3,10	45,19	45,19
	სრგ. 5.1-22	ხის ძელი 60X50 მმ.	მ <sup>3</sup>		2		430,00	778,30				778,30
	სრგ. 5.1-22	ხის ფიცარი 200X50 მმ.	მ <sup>3</sup>		1		430,00	395,60				395,60
	სრგ. 1.10-1	ლოურსმანი	კვ.	17,7	48		3,30	159,46				159,46
		სხვა მასალა	ლარი	5,28	14,4					3,10	44,68	44,68

6	12-8-5	პროფილირებული თუნუქის სახურავის მოწყობა	100მ <sup>2</sup>		1,750							
		შრომითი დანახარჯი	კვ/სთ	83	145	6,5	944,13					944,13
		სხვა მანქანები	ლარი	0,41	0,7					3,10	2,22	2,22
	სრფ. 1.5-15	პროფილირებული თუნუქის ფურცელი სისქით 0.5 მმ. (შეღებილი)	მ <sup>2</sup>	122	213,5			13,00	2 775,50			2775,50
	სრფ. 1.10-26	სჭვალი	კმ.	5	8,75			2,99	26,16			26,16
		სხვა მასალა	ლარი	7,8	13,7					3,10	42,32	42,32
7	12-8-5	კეხის მოწყობა თუნუქით	100მ <sup>2</sup>		0,07							
		შრომითი დანახარჯი	კვ/სთ	83	6	6,5	37,77					37,77
		სხვა მანქანები	ლარი	0,41	0,0					3,10	0,09	0,09
	სრფ. 1.5-15	თუნუქის ფურცელი სისქით 0.5 მმ. (შეღებილი)	მ <sup>2</sup>	122	8,5			11,50	98,21			98,21
	სრფ. 1.10-26	სჭვალი	კმ.	5	0,35			2,99	1,05			1,05
		სხვა მასალა	ლარი	7,8	0,5					3,10	1,69	1,69
8	10-3-5	შეფიცვრა სისქით 16 მმ.	100მ <sup>2</sup>		0,385							
		შრომითი დანახარჯი	კვ/სთ	72,5	28	4,8	133,98					133,98
		სხვა მანქანები	ლარი	3,57	1,4					3,10	4,26	4,26
	სრფ. 5.1-148	ფიცარი შეფიცვრის სისქით 16 მმ.	მ <sup>2</sup>	122	47,0			11,90	558,94			558,94
	სრფ. 5.1-22	ხის ძელი 60X50 მმ.	მ <sup>3</sup>		0,30			430,00	129,00			129,00
	სრფ. 1.10-1	ლურსმანი	კმ.	5	1,925			3,30	6,35			6,35
		სხვა მასალა	ლარი	3,28	1,3					3,10	3,91	3,91
9	15-159-2	შეფიცვრის შეღებვა ზეთოვანი საღებავით ორჯერ	100მ <sup>2</sup>		0,385							
		შრომითი დანახარჯი	კვ/სთ	68,8	26	4,8	127,14					127,14
		სხვა მანქანები	ლარი	1,15	0,4					3,10	1,37	1,37
	სრფ. 4.2-70	კოლორი ზეთოვანი საღებავის	კმ.	28,9	11			4,90	54,52			54,52
	სრფ. 4.2-107	საგრუნტი ხის	კმ.	41	15,8			11,90	187,84			187,84
	სრფ. 4.2-27	საღებავი ზეთოვანი კარ-ფანჯრის (თეთრი)	კმ.	30	11,55			5,80	66,99			66,99
	სრფ. 4.2-16	ოლიფა	კმ.	10	3,85			4,95	19,06			19,06
		სხვა მასალა	ლარი	0,7	0,3					3,10	0,84	0,84
10	10-56-1	კოტეჯის მიშენების ჭერის მოწყობა პლასტიკატით	100მ <sup>2</sup>		0,125							
		შრომითი დანახარჯი	კვ/სთ	124	16	4,8	74,40					74,40

